მეტყველების ცენტრი

უნიკუმი

# 78 სავარჯიშო მეტყველების დაწყებისთვის





# 78 სავარჯიშო მეტყველების დაწყებისთვის

| **სამეტყველო სუნთქვის სავარჯიშოები**<br>სამეტყველო ამოსუნთქვის ჩამოყალიბება, გაძლიერება |
| --- |
| **1-** ვუბერავთ პატარა ქაღალდის ნაგლეჯებს, ბამბას, საწრუპის საშუალებით წყ<br>- ვაკეთებთ ბუშტებს. |
| **2-** ვაქრობთ სანთლებს- რა თქმა უნდა უფროსების კონტროლის ქვეშ |
| **3-** ვუბერავთ ქაღალდისგან გაკეთებულ გემებს, შეიძლება საწრუპის გამოყენებაც. |
| **4-** ვაგდებთ ჰაერის ნაკადით ბუმბულებს, პიმპონგის ბურთებს. |
| **5-** პენოპლასტით სავსე ბოთლში, დახურული თავსახურით ვუბერავთ საწრუპიდან. |
| **6-** საწრუპიდან ჭიქაში, რომელშიც ასხია წყალი უბერავთ ჰაერს,<br>რომ ბუშტები გამოვიდეს. |
| **7-** ხელების გათბობა. ხელებზე ჰაერის შებერვა. |

# 78 სავარჯიშო მეტყველების დაწყებისთვის

## საარტიკულაციო ვარჯიშები სამეტყველო აპარატის განვითარებისთვის.

8. -ბგერებით თამაში, ცხენის თქარუნი "კაკუ კაკუ", ზღარბივით ვსუნთქავთ, კოცნის ხმას გამოვცემთ.



9. -ლოყების გაბერვა და შეჩუტვა (ჰაერის გამოდევნა) ხელებით.

10.-ენის ჩვენება - ენის გამოყოფა და დამალვა



11. -ვაჩვენებთ კბილებს - აბა ვის აქვს კბილები?



12. - ვსვამთ რძეს კატასავით თეფშიდან (ენით ალოკვა)





13.- გაღიმება და მშვიდათ პირის გაღება და დახურვა.

14. - ტუჩების წინ გამოწევა (კოცნა, "უუუ") 5-10 წამით







# 78 სავარჯიშო მეტყველების დაწყებისთვის

## ბგერების მიბაძვა გამეორებებით - სხვადასხვა ტემპით შესრულება.

15. - მანქანა როგორ აკეთებს? - პიპიპი



16. - ძროხა როგორ ყმუის - მუმუმუ





17. - როგორ უკრავს დოლი -ტატატა



18. - როგორ მღერის დედიკო? ლალალა

19. - როგორ აკეთებს მატარებელი? ჩუჩუჩუ



20. - როგორ აკეთებს ჩაქუჩი - ბუხ ბუხ ბუხ



21. - როგორ აკეთებს წვიმა - კაპ კაპ კაპ



# 78 სავარჯიშო მეტყველების დაწყებისთვის

**მუსიკალური თამაშები**
**როდესაც ბავშვები მღერიან ბგერებს, მარცვლებს და სიტყვებს - უმარტივდებათ ლაპარაკის დაწყება.**

თამაშები საბავშვო მუსიკალური ინსტრუმენტებით, სადაც ბგერები დუბლირდება სიტყვით:

**22.** - ბუხ ბუხ ბუხ - დოლი





**23.** - ლა ლა ლა - ქსილოფონი



**24.** - დინ დინ დინ - ზარი



**25.** - ბა ბა ბა - ბარაბანი



**26.** ტუ ტუ ტუ - დაბადების დღის საყვირი

**სიმღერებში ბგერების მიბაძვა**

**27.** "ერთად ვცხოვრობთ ძველ ფერმაში"

**28.** "ხტუნაობენ ბაჭიები" და ა.შ.

# 78 სავარჯიშო მეტყველების დაწყებისთვის

## ცეკვა
## მარტივი სიტყვებით,
## დუბლირებული მოძრაობით



**29.** - ტოპ ტოპ





**30.** - ხლოპ ხლოპ



**31.** - ხოპ ხოპ

**32.** - ბიპ ბიპ



**33.** - აქეთ იქეთ (სხეულის კორპუსის მოძრაობა)

**34.** - ზემოთ - ქვემოთ ( ხელში ზარი/საჩხაკუნო ზემოთ ქვემოთ)

**35.** - ტრიალ ბზრიალი (ადგილზე დატრიალება)



# 78 სავარჯიშო მეტყველების დაწყებისთვის

## პასიური მარაგის გადიდება

**36.** - სათამაშოების დამალვა ნაჭერის ქვეშ, ამოღება და დასახელება.

**37.** - მომე! ( ინსტრუქციის მიხედვით ბავშვი გაძლევთ სათამაშოს ფერის ფორმის ან ზომის მიხედვით)

**36.** - სორტირება. ფერებით, ფორმით ან ზომით.
მაგ., დათუნიას წითელი ბურთები, ბაჭიას - ყვითელი.

**39.** - სენსორულ ყუთში ვეძებთ დამალულ საგნებს ( ცხოველებს, სათამაშოებს, ჭურჭელს) - ბავშვი პოულობს, უფროსი ასახელებს.

**40.** - სორტირება - ჯგუფებით დახარისხება საგენების.
მაგ., ხილი, ბოსტნეული, ტრანსპორტი.

**41.** - პატარა საგნები მოათავსეთ ქისაში, სთხოვეთ ბავშვს, ამოიღოს ქისიდან რომელიმე საგანი ისე, რომ ქისაში არ ჩაიხედოს.

**42.** - საბავშვო წიგნის დათვალიერება, ნახატებზე საჩვენებელი თითი ჩვენება, როდესაც თქვენ ასახელებთ ნახატს.

# 78 სავარჯიშო მეტყველების დაწყებისთვის

## თამაშები სმენით აღქმის გასანვითარებლად.





**43.** - გამოიცანი რისი ხმაა

**44.** - დამალობანა



**45.** - რომელ ხელში ჟღერდა



**46.**- ნელა-ჩქარა





**47.** - მარჯვნივ - მარცხნივ (2 წლის ზემოთ)

**48.**- თუ დოლის ხმაა - ვხტებით, თუ ქსილოფონის - ტაშს ვუკრავთ







**49.** - გარეთ რისი ხმაა?

# 78 სავარჯიშო მეტყველების დაწყებისთვის

## გემრიელი თამაშები



**50.** - ტუჩების გალოკვა - მურაბა, თაფლი,ნუტელა.



**51.** - გამოვყავით ენა - აიღე კენკრა,
კამფეტი და ენით შეგვაქ პირში



**52.** - ჩუპა-ჩუპსის,მამალოს გალოკვა - ვცდილობთ მიწვდეთ ენით,
ზემოთ, ქვემოთ, მარჯვნივ მარცხნივ



**53.** - ვქაჩავთ კბილებით მარმელადის ჭიებს, ტუჩებით შეგვაქვს პირში.

**54.** - წინასწარ ჩარჭობილი ტკბილი ჩხირების ამოღება ვაშლიდან კბილებით,
ტუჩებით.



**55.** - მხიარული ულვაში. მურაბით ულვაშის გაკეთება და გალოკვა ენით.



**56.** - კამფეტის დამალვა მარჯვენა და მარცხენა ლოყის უკან.

# 78 სავარჯიშო მეტყველების დაწყებისთვის

## თითებით თაშები

57. - თითებით რაოდენობის ჩვენება მიბაძვით



58. - ერთი ხელის ცერა თითი დანარჩენ თითებზე შეხება



59. - ლოლია - ლოლია (ბოლია ბოლია)



60. - ორივე ხელის მტევანი მოძრაობს მაჯაში, ზემოთ ქვემოთ



61. - შუა და უსახელო, ცერა თითი მოკეცილია,
ნეკა და საჩვენებელი თითი გაშლილია
და მოძრაობენ სხვადასხვა მხარეს



62. - საჩვენებელი და შუა თითი მოძრაობენ (მოვიდა მოვიდა)



63. - ორივე ხელის მაჯა გადაჯვარედინებულია, ხელების
მსუბუქი და მკვეთრი მოძრაობა.



# 78 სავარჯიშო მეტყველების დაწყებისთვის

## მოტორული მოქმედებების დაგეგმვა

**64.** - სორტირება - ოღონდ თითებით არა.
სამზარეულოს პინცეტით, სხვადასხვა ზომის კოვზით

**65.** - ორივე ხელის გამოყენება ერთდროულად

**66.** - არა წამყვანი ხელის გამოყენება დავალების შესრულებისას (თუ მემარჯვენეა-მარცხენა)

**67.** - ჩვეული მოქმედების ჩანაცვლება ახალი მოქმედებებით.
ტემპის და რითმის შეცვლა.

**68.** - ნებისმიერი დავალებების შესრულება ახალი ნივთებით და მასალებით.

**69.** - ბურღულეულის კოვზით სხვადასხვა ჭურჭელში მოთავსება

# 78 სავარჯიშო მეტყველების დაწყებისთვის

| ზოგადი რეკომენდაცია |
| --- |
| **70.** - სხვადასხვა კოვზით და ჩანგალით – დამოუკიდებლად საჭმელის ჭამა. |
| **71.** - "პამპერსის"/საფენების დროული **(2,5** წლიდან**)** ჩანაცვლება საპირფარეშოში მოსაქმებით. |
| **72.** ლოდინი. დაელოდეთ ბავშვს გამოავლინოს ინიციატივა**/**გაიმეოროს ბგერა |
| **73.** - არ ისაუბროთ ბავშვის მაგივრად. |
| **74.** - თუ ბავშვი არ მეტყველებს. ესაუბრეთ **1** ან **2** სიტყვიანი მარტივი ფრაზებით. |
| **75.** - დააკვირდით ბავშვის ინტერესებს და თქვენი თამაშები გამართეთ მისი ინტერესების გათვალისწინებით |
| **76.** - აღნიშნეთ და შეაქეთ ბავშვის ყოველი მცდელობა ლაპარაკის, თუნდაც ის არასწორი იყოს. დააჯილდოვეთ ის თუ მცდელობა წარმატული იყო. |
| **77.** - ემოციები. როდესაც უფროსები ემოციურად ვრეაგირებთ, ეს ყოველთვის იწვევს ბავშვის ინტერესს. |
| **78.** - დაიხმარეთ პატარა თქვენს ყოველდღიურ საშინაო საქმიანობაში, ასაკის მიხედვით შეურჩიეთ დავალებები. |